შინაგან საქმეთა სამინისტრო
ანგარიში

2023

2023 წლის პრიორიტეტები

- კრიმინალური პოლიციის რეფორმა
- ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა
- საგანგებო და ექსტრემალური სიტუაციების მართვა
- ადამიანის უფლებების დაცვა და გაძლიერება
- საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება
- ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის გაძლიერება
- საზღვრის მართვა და მიგრაცია
- ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება
- საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის გაძლიერება
- ავტოპარკის განახლება
- სამინისტროს სტრუქტურული დანაყოფების გადაიარაღება
- საპოლიციო სერვისების გაუმჯობესება
- მედიასა და საზოგადოებასთან სწორი და დროული კომუნიკაცია
- პოლიციისადმი ნდობის ხარისხის გაზრდა
- ტექნიკური შესაძლებლობების გაძლიერება

GALLUP

2023 წელს, რეგისტრირებული დანაშაულის გახსნა 64%-ს აღემატება. გრძელდება დანაშაულის კლების ტენდენციაც

შემცირებულია ისეთი მნიშვნელოვანი დანაშაულების ფაქტები, როგორიც არის მკვლელობები და მკვლელობის მცდელობები, ასევე ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებები. ეს კონკრეტული შედეგი დადებითად აისახა საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაცია „Gallup“ - ის „კანონისა და წესრიგის“ ყოველწლიურ გლობალურ ინდექსში. მინიჭებული ინდექსის მიხედვით, საქართველო უსწრებს ისეთ ქვეყნებს როგორებიცაა: იტალია, საფრანგეთი, ავსტრალია, უნგრეთი, ბელგია, კანადა, იაპონია, ხორვატია და სხვა.

ამავე კვლევის თანახმად, საქართველო ადგილს ისეთი ქვეყნების გვერდით იკავებს, როგორებიცაა ავსტრია, ნიდერლანდები და ჰონგ-კონგი. ინდექსი ეფუძნება სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებულ გამოკითხვას, რომლის საშუალებითაც შეფასებულია ადამიანების პირადი უსაფრთხოება, დაცულობის შეგრძნება და მათი ნდობის ხარისხი სამართალდამცავი ორგანოების მიმართ. კვლევის მიხედვით, 2022 წლის ანგარიშთან შედარებით, 2023 წელს საქართველოს ინდექსი გაუმჯობესებულია.

ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობის ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობით, შემუშავდა „ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა“, რომელიც აერთიანებს კომპლექსურ უწყებათაშორის აქტივობებს და შემუშავებულია 3 ძირითადი მიზნის ფარგლებში:

“კანონიერი ქურდებისა“ და „ქურდული სამყაროს“ წევრების (მათ მხარდამჭერთა) წინააღმდეგ ბრძოლის სისტემური გაძლიერება

კიბერდანაშაულის პრევენციული მექანიზმებისა და გამოძიების ეფექტიანობის ამაღლება/გაუმჯობესება

ნარკოტრანზიტის და ნარკოვაჭრობის ბრძოლის მიმართულებით გამოძიების ხარისხის გაუმჯობესება

სამოქმედო გეგმის ფარგლებში, დაინერგა დანაშაულის სტატისტიკის წარმოების განახლებული ფორმა, რომელიც, სხვა საკითხებს შორის, უზრუნველყოფს ორგანიზებული დანაშაულის მიმართულებით სტატისტიკის დეტალური ფორმით დამუშავებას. ევროკომისიამ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშში დადებითად შეაფასა და ხაზი გაუსვა აღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტების არსებობის მნიშვნელობას. 2023 წელს, მნიშვნელოვან გამოწვევას ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობა წარმოადგენდა. პოლიციის და სხვა სამართალდამცავი უწყებების აქტიური ბრძოლის შედეგად, ნარკოდანაშაულის გამოვლენის მაჩვენებელი 2022 წელთან შედარებით 21% - ით გაიზარდა.

კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც ქართველი სამართალდამცავების წარმატებით მუშაობას ასახავს არის ტრეფიკინგის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების ანგარიში, რომლის თანახმად, ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ სახელმწიფოების მიერ განხორციელებული ღონისძიებების მიხედვით, 2023 წელსაც საქართველო მსოფლიოს მასშტაბით უმაღლეს საფეხურზე - პირველ კალათაში იკავებს ადგილს.

ტრეფიკინგის დანაშაულის ჩადენისთვის
ბრალი წარედგინა

15 პირს

„ქურდული სამყაროს“ წევრობის, მხარდაჭერისა და „კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვის ბრალდებით სისხლისამართლებრივი დევნა დაიწყო

71 პირის მიმართ

4 სისხლის სამართლის დანაშაულზე
პასუხისგებაში მიცემულია

3 კანონიერი ქურდი

ნარკოტიკული საშუალების გასაღებისთვის
პასუხისგებაში მიცემულია

284 პირი

კიბერდანაშაულისთვის სისხლისამართლებრივი
დევნა დაიწყო

200 პირზე

2023 წელს, თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და საგამოძიებო უნარ-ჩვევების გაუმჯობესებისთვის სხვადასხვა ტიპის სწავლებები ჩატარდა.

საანგარიშო პერიოდში, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველო შეიქმნა, რაც ხელს შეუწყობს ნარკოტიკული და ორგანიზებული დანაშაულის პრევენციას, ოპერატიულად გამოვლენას და აღკვეთას.

2023 წელს, მნიშვნელოვნად გაფართოვდა საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობა. კერძოდ, ირლანდიის რესპუბლიკასა და ისრაელის სახელმწიფოში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან წარიგზავნენ პოლიციის ატაშეები. დამატებით გადაიფარა 12 ქვეყანა. დღეის მდგომარეობით წარგზავნილია 18 პოლიციის ატაშე, საიდანაც 36 სახელმწიფო იფარება,აგრეთვე მიმდინარეობს შესაბამისი პროცედურები რამდენიმე ქვეყანასთან ატაშეების ქსელის გაფართოებასთან დაკავშირებით.

კრიმინალური პოლიციის რეფორმა

2023 წელი მნიშვნელოვანი იყო კრიმინალური პოლიციის რეფორმის მიმართულებითაც. ოპერატიული, საგამოძიებო და საუბნო მიმართულებები სრულად გაიმიჯნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა ტერიტორიულ ორგანოში. რეფორმის ფარგლებში, გამომძიებლის ფუნქცია-მოვალეობებად განისაზღვრა მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის გამოძიება და მას სრულად ჩამოშორდა სხვა საპოლიციო ვალდებულებები, რამაც გამომძიებელთა საქმიანობის ეფექტიანობა გაზარდა. ამავე რეფორმის ფარგლებში, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტი დამოუკიდებელ ერთეულად გამოეყო. რაჭის პოლიციის დეპარტამენტი 2007 წელს გაუქმდა და მას შემდეგ ცალკე დანაყოფად აღარ ფუნქციონირებდა.

კრიმინალური პოლიციის რეფორმის ფარგლებში, გაგრძელდა მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის განვითარება, რომლის უმთავრესი ამოცანაა დანაშაულის პრევენცია, როგორც საპოლიციო საქმიანობის ეფექტიანობის ზრდა, ასევე საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება. 2023 წელს,აღნიშნული ინსტიტუტი რუსთავსა და ბათუმში ამოქმედდა და შინაგან საქმეთა სამინისტროს რიგებს ათეულობით ახალგაზრდა შემოუერთდა, რომლებიც მართლწესრიგის ოფიცრის რანგში იცავენ მოქალაქეების უსაფრთხოებას. გასულ წელსაც გაგრძელდა თანამშრომელთა გადამზადება საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მიმართულებით.

ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა

შინაგან საქმეთა სამინისტრო, ასევე აქტიურად მუშაობს ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის კონცეფციაზე. 2023 წელს, დამტკიცდა ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის განვითარების სტრატეგიის 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმა.ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის განვითარების ფარგლებში, განხორციელდა ანალიტიკური ქსელის გაფართოება მთელი ქვეყნის მასშტაბით და დღეის მდგომარეობით შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში 94 ანალიტიკოსი მუშაობს.

საზღვრის ეფექტიანი მართვა და შიდაუწყებრივი კოორდინაცია

2023 წელს, დამტკიცდა „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის რისკის ანალიზის ინტეგრირებული მოდელი“, რომელიც ევროპის საზღვრისა და სანაპირო დაცვის სააგენტოს - „FRONTEX“- ის მიერ მიღებული მოდელის საბოლოო ვერსიის მიხედვით შემუშავდა. აგრეთვე დამტკიცდა, „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის რისკის ანალიზის ინტეგრირებული მოდელის დანერგვის 2024 წლის სამოქმედო გეგმა“, რომლის მთავარი მიზანი საზღვრის მართვის კონტექსტში ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბებაა. დანაშაულის პრევენციისა და მასზე ეფექტიანი რეაგირების გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე, მათ შორის საერთაშორისო აეროპორტებში დაინერგა სახის ამომცნობი ანალიტიკური სისტემა, რისი მეშვეობითაც შესაძლებელია ძებნილი, გაძევებული, საეჭვო, აკრძალვაზე მყოფი პირებისა და ასევე სხვადასხვა სახის სამართალდარღვევის გამოვლენა. გარდა ამისა, სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით, ხდება პირის იდენტიფიცირება და შესაბამის სამგზავრო დოკუმენტზე მოცემული ფოტოსურათის შედარება აღნიშნულ პირთან. 2023 წელს შეიქმნა და პრაქტიკაში დაინერგა საქართველოდან გაძევებულ პირთა ანალიტიკური მოდული, რაც საზღვრის რისკის ანალიზის შესაძლებლობებს მნიშვნელოვნად გაზრდის.

სასაზღვრო პოლიცია

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, როგორც სანაპირო, ასევე სახმელეთო საზღვრის დაცვის, სწრაფი რეაგირების, ოპერატიულ - საგამოძიებო კომპონენტების გაძლიერების, მესაზღვრეების გადამზადების, საველე სწავლებების გაუმჯობესების, სექტორების თანამედროვე დაკვირვებისა და აღმოჩენის ტექნოლოგიური სისტემებით აღჭურვის მიმართულებით, ასევე განახლდა ელექტრონული დაკვირვების სისტემის ქსელი და დაინერგა საინფორმაციო ტექნოლოგიები.

საქართველოს ისტორიაში პირველად, სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ტაქტიკური ჯგუფის 12-მა თანამშრომელმა საბერძნეთში მონაწილეობა მიიღო „ნატო“-ს ეგიდით წარმოებულ საზღვაო უსაფრთხოების ოპერაციაში - „ზღვის მცველი“.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სასაზღვრო ავიაციის გაძლიერების მიმართულებით. გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, ,,Airbus Helicopters“-თან მოლაპარაკებების საფუძველზე, შვეულმფრენების ჩაბარების ვადები შემცირდა და შინაგან საქმეთა სამინისტროს „H 145“-ის პირველი ბორტი უკვე გადმოეცა, ხოლო დანარჩენი ორი ბორტი უახლოეს პერიოდში გადმოეცემა. ეს არის მრავალფუნქციური შვეულმფრენი, რომელსაც შეუძლია პოლიციური, სატრანსპორტო, სამძებრო და სამაშველო ფუნქციების შესრულება. ახალი შვეულმფრენი სრულადაა დაკომპლექტებული ხანძართან ბრძოლისა და სამთო-სამაშველო აღჭურვილობით. ამ ტიპის შვეულმფრენი მაღალ სიმაღლეზე ოპერირებისა და მანევრის შესაძლებლობებით გამოირჩევა, რაც საქართველოს მაღალმთიანი რელიეფის გათვალისწინებით, არსებულ ამოცანებთან სრულად თავსებადია. აღნიშნული შვეულმფრენების მეშვეობით გერმანიაში, ,,Airbus Helicopters“- ის სასწავლო აკადემიაში განხორციელდა, მფრინავებისა და ბორტ-ტექნიკოსების თეორიული და პრაქტიკული მომზადება.

ამერიკის საელჩოს დახმარებით, 2023 წელს, სწრაფი რეაგირების მთავარი სამმართველოს თანამშრომლებს ჩაუტარდათ 7 სწავლება. საერთო ჯამში, ამერიკის მხარდაჭერით სასაზღვრო პოლიციის 200-მდე თანამშრომელი გადამზადდა. სასაზღვრო პოლიციის განვითარების კუთხით, გასულ წელს დონორი ორგანიზაციების მიერ, საქართველოს სასაზღვრო პოლიციისთვის გაწეულმა დახმარებამ 3 მილიონზე მეტი ამერიკული დოლარი შეადგინა. ევროკავშირის დახმარებით სასაზღვრო პოლიციის ავტოპარკი განახლდა და საქართველოს სასაზღვრო პოლიციას მილიონ ევროზე მეტი ღირებულების 20 მაღალი გამავლობის სატვირთო და მსუბუქი ავტომობილი გადაეცა.

სოციალური გარანტიების გაუმჯობესება და მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები



2023 წელი განსაკუთრებული იყო, როგორც ანაზღაურების ზრდის კუთხით, ასევე სამუშაო პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით. განახლდა ინფრასტრუქტურა, აღჭურვილობა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სოციალური დაცვის გარანტიების გაუმჯობესების მიზნით, გრძელდება სამინისტროს თანამშრომლების ხელფასების ზრდა

2022 წელს, სამინისტროს ყველა თანამშრომლის ხელფასი 10%-ით გაიზარდა, ხოლო 2023 წელს, უკვე გაზრდილი ხელფასის ზრდა მოხდა დამატებით 20%-ით, ზრდის ტენდენცია მიმდინარე წელსაც გაგრძელდა და პირველი იანვრიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა თანამშრომლის არსებული ხელფასი დამატებით 10%-ით გაიზარდა

პოლიციის ქალაქი

პოლიციელთა სოციალური გარანტიების გაუმჯობესების მიზნით, 2023 წელს, თბილისში დაიწყო „პოლიციის ქალაქის“ მშენებლობა

„პოლიციის ქალაქში“ შვიდი მრავალსართულიანი კორპუსი შენდება და პროექტის ფარგლებში პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე ბინას **1000-მდე** პოლიციელი მიიღებს

შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე კრიმინალური პოლიციის რეფორმის ფარგლებში, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის ახლად შექმნილი დეპარტამენტის თანამშრომლებმა მუშაობა ამბროლაურში თანამედროვე ტიპის შენობაში დაიწყეს. აღსანიშნავია აბასთუმანი, სადაც პოლიციისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისთვის შენობები არ იყო და მათი მშენებლობა 2023 წელს დასრულდა. აღნიშნული დეპარტამენტის თანამშრომლები საქმიანობას სრულიად ახალ, თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და ტექნოლოგიებით აღჭურვილ შენობებში შეუდგნენ. მეხანძრე მაშველებისთვის ახალი შენობა აშენდა კასპშიც.

საპოლიციო სერვისების გაუმჯობესების კუთხით საანგარიშო პერიოდში, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, ერთიანი მომსახურების ცენტრის ბათუმის ფილიალი გაიხსნა, სადაც მოქალაქეები 50-მდე სერვისს ერთი ფანჯრის პრინციპით მიიღებენ. სრულად გარემონტდა და ახალი ინფრასტრუქტურით აღიჭურვა აჭარის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შენობა.

2023 წელს გაგრძელდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტოპარკის განახლება და სამინისტროს მიერ 400 - მდე სხვადასხვა ტიპის ახალი ავტომანქანა იქნა შეძენილი.

საერთაშორისო ურთიერთობები

2023 წელი მნიშვნელოვანი იყო საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით. გასულ წელს 12 მაღალი დონის ვიზიტი განხორციელდა. ისტორიაში პირველად, გერმანიისა და ესპანეთის შინაგან საქმეთა მინისტრები საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდნენ. ასევე წლის განმავლობაში გაიმართა მაღალი დონის ოფიციალური შეხვედრები გერმანიასა და უნგრეთში შინაგან საქმეთა მინისტრებთან.

საანგარიშო პერიოდში, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეები ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდნენ და კოლეგებთან შეხვედრები გამართეს - პოლონეთში, ისრაელში, თურქეთში, ლიეტუვაში, ავსტრიისა და ლატვიის რესპუბლიკებში.ოფიციალური ვიზიტების გარდა პარტნიორ სახელმწიფოებთან ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში, ხელი მოეწერა რამდენიმე მნიშვნელოვან ოქმსა და ხელშეკრულებას. აქტიურად გაგრძელდა, როგორც გაცვლითი სასწავლო პროგრამები, ასევე ტექნიკური და ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარება დონორების მხარდაჭერით.

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება

2023 წელს, გზებზე სიჩქარის კონტროლისა და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველსაყოფად შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ აქტიურად ხდებოდა ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის განვითარება.

2023 წელს, ამოქმედდა 883 ვიდეოკამერა, მათ შორის 672 ზოგადი ხედვის, ხოლო 211 ნომრის ამომცნობი. ქვეყნის მასშტაბით სისტემაში ჯამში 7 419 ვიდეოკამერაა ჩართული;

2023 წელს, ქვეყნის მასშტაბით ამოქმედდა 168 სექცია, რომელიც 447 კილომეტრი სიგრძის საგზაო მონაკვეთს ფარავს. შედეგად, საქართველოს მასშტაბით სულ მოწყობილია 574 საშუალო სიჩქარის კონტროლის სექცია, რაც ჯამურად 2 024 კილომეტრს ფარავს;

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მიმართულებით განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის თანახმად გამკაცრდა სანქციები სიჩქარის გადაჭარბებაზე, ნასვამ მდგომარეობაში ავტომობილის მართვაზე, ზამთრის საბურავების გარეშე მაღალმთიან რეგიონებში გადაადგილების შეზღუდვაზე 1 დეკემბრიდან 1 მარტის პერიოდში.

2023 წელს დასრულდა პროექტი - "ტრენინგი პოლიციელებისთვის საქართველოში საგზაო უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად მრავლისმომცველი მიდგომით". ჯამში სამინისტროს 150 თანამშრომელი გადამზადდა. პროექტის ფარგლებში, ეტაპობრივად განხორციელდა ტრენინგები პოლონეთსა და საქართველოში, დასასრულს კი პოლონეთის მხარემ შინაგან საქმეთა სამინისტროს საჩუქრად სპეციალური აღჭურვილობა გადასცა.

გამკაცრებული კანონის, გაზრდილი ჯარიმების და საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად განხორციელებული არაერთი აქტივობის შედეგად, გასულ წელს სამი კვარტლის მონაცემებით, ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად დაღუპულთა რაოდენობამ იკლო. მიუხედავად ამ ყველაფრისა, მეოთხე კვარტალში ამ მიმართულებით არსებული სტატისტიკა გაუარესდა.

2023 წელს, წინა წელთან შედარებით 2%-ზე მეტით გაიზარდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა რაოდენობა.

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შედეგად დაშავებულთა რაოდენობა 3%-მდეა შემცირებული, ამავე პროცენტული რაოდენობით გაიზარდა დაღუპულთა რიცხვი.

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში შეიქმნა ახალი დანაყოფი – საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ანალიზის განყოფილება, რომელიც სამომავლოდ უზრუნველყოფს ავტოსაგზაო შემთხვევების გამომწვევი მიზეზების დეტალურ ანალიზს, ე.წ. „შავი წერტილების“ იდენტიფიცირებასა და შემდგომში პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვას

საპატრულო პოლიცია

საგზაო უსაფრთხოების დაცვაში მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებს.
ქვეყნის მასშტაბით ეტაპობრივად ფართოვდება დეპარტამენტის არეალი და 2024 წელს აღნიშნული პროცესის გაგრძელება იგეგმება რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში.

საპოლიციო ინფრასტრუქტურის განახლების ფარგლებში, თითქმის სრულად ჩანაცვლდა საპატრულო პოლიციის მექანიკური გადაცემათა კოლოფის მქონე სატრანსპორტო საშუალებები ახალი ავტომატური გადაცემათა კოლოფის მქონე სატრანსპორტო საშუალებებით, რაც აუმჯობესებს და ამარტივებს პატრულინსპექტორების სამუშაო პროცესს. ასევე მაღალმთიან რეგიონებში დაიწყო საპატრულო მანქანების ჩანაცვლება მაღალი გამავლობის ავტომანქანებით.

POLICE
POLICE

112
7107
პოლიცია
ევროსავლეთის საკრებულო

112
ŠKODA
7212
TT-742-II
POLICE
POLICE

POLICE

FRONTEX

ევროპის საზღვრისა და სანაპირო დაცვის სააგენტო ,,FRONTEX"- ის მიერ ორგანიზებული, ერთობლივი ოპერაციის ფარგლებში, ევროკავშირის ასოცირებული ქვეყნების აეროპორტებში დამატებით ექსპერტებად განთავსებულნი არიან საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში 2023 წელს 22 ერთობლივი ოპერაცია ჩატარდა.

2022-2023 წლებში საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საზღვრის მართვისა და კოორდინირების მთავარი სამმართველოს შემადგენლობის რაოდენობა 158 საშტატო ერთეულით გაიზარდა. 2024 წელს პროცესი გაგრძელდა და კვლავ დაემატა 100 საშტატო ერთეული. მგზავრთა გადაადგილებისა და გამტარი პუნქტების გამტარუნარიანობის ზრდის პარალელურად 2023 წელს, სასაზღვრო-საპასპორტო კონტროლის დროულად და ეფექტიანად განხორციელების მიზნით, თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის აეროპორტებში განახლდა და დამატებით მოეწყო მესაზღვრე-კონტროლიორთა სამუშაო სივრცეები, ე.წ. საპასპორტო ჯიხურები, რაც ხელს უწყობს, როგორც თანამშრომელთა სამუშაო პირობების გაუმჯობესებას, ასევე მოქალაქეებისთვის, ვიზიტორებისა და ტურისტებისთვის მაღალი ხარისხის სერვისის მიწოდებას.

საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში და სამინისტროს რესურსით განახლდა პიროვნებისა, თუ ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაციისა და იდენტიფიცირების, როგორც პირველადი, ასევე სიღრმისეული შემოწმების ტექნიკური აღჭურვილობა. ასევე კვალიფიკაციის ასამაღლებელი არაერთი სწავლება ჩატარდა, მათ შორის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები გადამზადდნენ სახელმწიფო საზღვრის რისკების ანალიზის მიმართულებით.

საპასპორტო სასაზღვრო კონტროლის ეფექტიანად განხორციელებისათვის, გამტარ პუნქტებს გადაეცათ დოკუმენტების პირველადი ინსპექტირებისათვის აუცილებელი პასპორტ წამკითხველების თანამედროვე მოდელები და მეორადი ინსპექტირებისათვის აუცილებელი ლაბორატორიები. ასევე, მესაზღვრე-კონტროლიორთათვის აუცილებელი საკომუნიკაციო საშუალებები სრულად განახლდა.

2023 წელსაც გაგრძელდა საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება სხვადასხვა მიმართულებით,როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში, ასევე ქვეყნის გარეთ, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ დაგეგმილ სემინარებსა და ტრენინგებში.

საანგარიშო პერიოდში, საპატრულო პოლიციის ერთიანი მომსახურების ცენტრმა აწარმოა მოქალაქეთა კმაყოფილების კვლევა და გამოიკვეთა, რომ პატრულ-ინსპექტორების კომპეტენტურობა, მოქალაქის მიმართ კეთილგანწყობა და პრობლემის გადაჭრაზე ფოკუსირება რესპოდენტების 97%-ის მიერ შეფასდა დადებითად, ხოლო სატელეფონო ცენტრის მომსახურებით კმაყოფილების დონის მაჩვენებელი 94%-ია.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური

2023 წელი მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისთვის. მეხანძრე-მაშველები მთელი წლის განმავლობაში საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად, 24 საათიან რეჟიმში დაუღალავად მუშაობდნენ.

გასულ წელს, რამდენიმე ასეული მეხანძრე-მაშველი გაემგზავრა თურქეთში და უწყვეტ რეჟიმში ჩართული იყო ძებნა-შველისა და გადარჩენის ღონისძიებებში.

დიდი გამოწვევა იყო რაჭაში მომხდარი ტრაგედია, სადაც მეხანძრე-მაშველები 24 საათიან, უწყვეტ რეჟიმში მუშაობდნენ.

RESCUE
RESCUE

RESCUE

2023 წელს, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური აღიჭურვა ახალი, სხვადასხვა ტიპის ავტომობილებით, მათ შორის, მაღალი გამავლობის ავტოტექნიკით, ყველგანმავალი კვადროციკლებით და წყლის სატრანსპორტო საშუალებებით. ყველა მეხანძრე-მაშველი უმაღლესი სტანდარტის ცეცხლმედეგი ფორმით და შესაბამისი სპეცტექნიკით არის აღჭურვილი.

გასულ წელს, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა შეიძინა 2 მილიონ ლარამდე ღირებულების 4 სწრაფმავალი კატარღა, 11 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების სახანძრო-სამაშველო მანქანები, 3 მილიონ ხუთასი ათასი ლარის ღირებულების მეხანძრე-მაშველისთვის საჭირო სპეციალური ეკიპირება და 4 მილიონ ლარამდე ღირებულების სახანძრო ტექნიკური ცეცხლგამძლე სამოსი. საანგარიშო პერიოდში, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს დონორი ორგანიზაციებისგან სხვადასხვა სახის აღჭურვილობა და სპეცტექნიკა გადმოეცა, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მეხანძრე-მაშველების ეფექტურ მუშაობას.

2023 წელს შეძენილი, ტყის ხანძრებისთვის განკუთვნილი 10 სახანძრო-სამაშველო მანქანა, უკვე გადანაწილდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

საპოლიციო სერვისები

გარდა მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვისა შინაგან საქმეთა სამინისტრო მუდმივად ზრუნავს საპოლიციო სერვისების განვითარებაზე. 2023 წელს, მომსახურების სააგენტომ სერვისების განვითარების კუთხით, ცნობების ელექტრონული წესით გაცემა დაიწყო. ასევე სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციისთვის განკუთვნილი ახალი პროგრამა შეიქმნა, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით უზრუნველყოფს, ერთი ფანჯრის პრინციპით, მოქალაქეებისთვის სერვისების მიწოდებას.



2023 წელს, განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები და სავალდებულო გახდა რეგისტრაციას დაქვემდებარებული ყველა ტიპის იარაღის ბალისტიკური შემოწმება. მომსახურების სააგენტოს თბილისის, ფოთის, ზუგდიდის, გორისა და თელავის სტრუქტურულ ერთეულებში იარაღის ბალისტიკური შემოწმებისთვისა და იარაღის თეორიული გამოცდისთვის აშენდა ახალი შენობები და მოეწყო შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

გასულ წელს, მომსახურების სააგენტომ გააგრძელა საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს რეალური საგზაო მოძრაობის პირობებში მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის ჩატარებას.

მართვის უფლების მისაღები „B“ კატეგორიის პრაქტიკული გამოცდისთვის 45 ახალი ავტომობილი იქნა შეძენილი. ახალი ავტომობილები, თანამედროვე GPS სისტემებით აღიჭურვა და საქართველოს მასშტაბით 10 ქალაქში, მომსახურების სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულებში გადანაწილდა.

საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა დაცვის პოლიციის ავტოპარკის განახლებაც და ოპერატიული რეაგირების ჯგუფებს ავტოსატრანსპორტო საშუალებები შეემატა.

მომსახურების გაუმჯობესების კუთხით, განახლდა საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112 -ის აპლიკაცია, რომელიც მოქალაქეებისთვის უკვე ხუთ (ქართულ, რუსულ, ინგლისურ, აზერბაიჯანულ და სომხურ) ენაზეა ხელმისაწვდომი.

პრიორიტეტების განმსაზღვრელი პროგრამა ProQA-ს საპოლიციო, სახანძრო-სამაშველო და სამედიცინო პროტოკოლების ქართული რეალობის შესაბამისი კითხვარები და პირველადი ინსტრუქციები სრულად ინტეგრირდა "ERC-112"-ის პროგრამულ უზრუნველყოფაში და დღეის მდგომარეობით, გადაუდებელი დახმარების ნომერზე შემოსული ყველა ზარი/შეტყობინება იმართება აღნიშნული კითხვარებისა და ინსტრუქციების დახმარებით.

საექსპერტო კრიმინალისტიკური დეპარტამენტი

გამოძიების ხარისხის გაუმჯობესებისა და ოპერატიულობის გაზრდის მიზნით, გასულ წელს, შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო კრიმინალისტიკურმა დეპარტამენტმა მუშაობა ერთიანი ეროვნული დნმ-ის მონაცემთა ბაზის შექმნაზე დაიწყო. დნმ-ის მონაცემთა ბაზა შეიქმნება ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ბაზის პლატფორმაზე. აღნიშნული სამსახურის თანამშრომლებს 2023 წელს ტრენინგი პოლონეთში ჩაუტარდათ.

საანგარიშო პერიოდში წარმატებით განხორციელდა განმეორებითი აკრედიტაცია და დეპარტამენტმა 12 ექსპერტიზის ლაბორატორიისთვის საერთაშორისო სტანდარტის ISO-ს მოთხოვნებთან შესაბამისი სერთიფიკატი მიიღო. გარდა ლაბორატორიების აკრედიტაციისა, საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის მიერ მოხდა განაცხადის შეტანა შემთხვევის ადგილის აკრედიტაციისთვის, რაც გულისხმობს დანაშაულის ადგილზე ამერიკული სტანდარტების შესაბამისად მუშობას.

დეპარტამენტის ყველა ლაბორატორიასა და საექსპერტო მიმართულებებში მოხდა ახალი აღჭურვილობისა და პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა. დეპარტამენტმა შეიძინა 10 დაქტილოსკოპიური სკანერი პროგრამული უზრუნველყოფით, რომლებიც განთავსდა ქვეყნის მასშტაბით არსებულ დროებითი მოთავსების 10 იზოლატორში, რითიც შესაძლებელია, იზოლატორში შეყვანილი პირის ადგილზე დაქტილოსკოპირება.

საკანონმდებლო ცვლილებები

2023 წელს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციირებით არაერთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა

- შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, მთავრობისა და პარლამენტის მხარდაჭერით დარეგულირდა იარაღის ბრუნვის სამართლებრივი რეგულაციები. 2023 წელს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც იარაღის ბრუნვის რეგულირებას ეხება;
- საქართველოს პარლამენტმა, 2023 წლის ბოლოს დაამტკიცა შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტორობით მომზადებული ცვლილებები, რომლის თანახმადაც ზამთრის პერიოდში სავალდებულო გახდა სატრანსპორტო საშუალების ზამთრის საბურავებით აღჭურვა;
- მთავრობის ინიციატივით, 2023 წელს პარლამენტს წარედგინა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს ძალოვანი უწყებებიდან დათხოვნილი თანამშრომლების სოციალური გარანტიების გაუმჯობესებას. კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების შესაბამისად - საკანონმდებლო განხილვების დასრულების შემდეგ, აღნიშნული ცვლილებები 2024 წლის პირველი მაისიდან ამოქმედდება.

2006 წლის შემდეგ, პირველად, კომპენსაციის მიმღები ყველა პირისთვის იზრდება პენსიის მაქსიმალური ზღვარი და დღეს არსებული 560 ლარიანი ლიმიტის ნაცვლად იქნება 1000 ლარი

პოლიციელის გარდაცვალების შემთხვევაში ოჯახისთვის დადგენილი ყოველთვიური პენსიის ოდენობა 1000 ლარის ნაცვლად განისაზღვრება 1200 ლარით

აღნიშნული ცვლილება შეეხებათ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გარდაცვლილი პოლიციელების ოჯახის წევრებს

იზრდება პენსიის გამოანგარიშების კანონით დადგენილი კოეფიციენტები ახლად დადგენილი თანხის შესაბამისად

ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი

2023 წელს, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, ისეთი მიმართულებებით, როგორიც არის:

- **ნაადრევი ქორწინება;**
- **არასრულწლოვანთა მიერ და მიმართ ჩადენილი დანაშაულები;**
- **ქალთა მიმართ ძალადობა, დისკრიმინაციის ნიშნით და შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულები**

ამოქმედდა შემაკავებელი ორდერის და რისკების შეფასების განახლებული ინსტრუმენტი, შეიცვალა ელექტრონული ზედამხედველობის დაწესების სტანდარტი. მექანიზმი ევროკომისიის მიერ დადებითად შეფასდა, რაც აღნიშნულია რეკომენდაციების შესრულების დოკუმენტში. საანგარიშო პერიოდში, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიამ ადამიანის უფლებების დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტთან ერთად შეიმუშავა გამომძიებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. გასულ წელს, დეპარტამენტის მიერ ელექტრონული ზედამხედველობის სამაჯურების გამოყენებისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის საკითხებზე შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის თანამშრომლები გადამზადდნენ.

2023 წელს, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის მიერ სხვადასხვა მიმართულებით თითქმის 8000 სამართალდამცავი გადამზადდა. ასევე საერთაშორისო პარტნიორ და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფარგლებში, მთელი წლის მანძილზე, სხვადასხვა მიმართულებით აკადემიის რამდენიმე ათეული თანამშრომელი გადამზადდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო
ანგარიში
2023